ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5054799

ნომერი: AR1754977

თარიღი : 19.06.2020

გაცემის თარიღი : 05.08.2020

გაცნობის თარიღი : 05.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 19 ივნისს №AR1754977 განცხადებით მომართა თენგიზი ესიავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 19

ივლისის №4595993 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ქუჩა ონიაშვილი, №28-ში, №01.10.12.041.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ოფისის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 12 აგვისტოს №4626680 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 12 აგვისტოდან 2020 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს, საოფისე ფართობად 905.4 კვ.მ-ის ნაცვლად 931.8 კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობად 102.17 კვ.მ-ის ნაცვლად 103.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 404.2 კვ.მ-ის ნაცვლად 435 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 271.8 კვ.მ-ის ნაცვლად 274.0 კვ.მ-ს, ასევე გამორჩენილ დამხმარე ფართობად - 25.4 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ გეგმა ნახაზებს და დაადგინა, რომ 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებაში საოფისე ფართობი უნდა იყოს 931.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 103.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 435 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 25.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი - 274.0 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი - 1770.0 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს გამორჩენილი დამხმარე ფართობი - 25.4 კვ.მ., ხოლო, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საოფისე ფართობი - 931.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 103.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 435.0 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი - 274.0 კვ.მ., საერთო ფართობი - 1770.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებით შეთანხმებული -2.40, +0.00, +3.80, +7.20, +10.60, +14.00, +17.40, +20.80, +24.20 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4595993 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.